პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 243 (13328) | ხუთშაბათი, 14 ოქტომბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს ნომერშია:

- სკკპ ცკ-ის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში!
- მეზრუნველობით შევარჩიოთ, აღვზარდოთ კადრები
- ახალი ამგები, ცნობები

მესტია. (საკ. კორ.). მთის კაცი — ასე ეძახიან სოფელ ხაიში თანასოფლელები შაქრო ჭკადუას. შაქრომ გულით შეიყვარა მშობლიური მთები და იქვე სატყეო მრეწველობაში დაიწყო მუშობა. შ. ჭკადუა მეამწის პროფესიას დაეუფლა. სვანეთის ტყეებში მოკრილ უზარმაზარ მორებს შ. ჭკადუა ამწეთი აიტაცებს ხოლმე და ავტომანქანაზე მოაქცევს.

ენგურის ხე-ტყის დაცურების კანტორაში შ. ჭკადუას ასახელებენ როგორც სანიმუშო მეამწეს. იგი გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს. მორეული სვანეთის შვილი დიდი ინტერესით გაეცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს და ცნობას პარტიის XXIII ყრილობის მოწვევის შესახებ. შ. ჭკადუამ ვალდებულება აიღო წლიური გეგმა კონსტიტუციის დღისათვის — 5 დეკემბრისათვის შესასრულოს.

ᲓᲦᲔᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘᲐ:

- □ სკკპ ცკ-ის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში!
- □ მეზრუნველობით შევარჩიოთ, აღვზარდოთ კადრები
- □ ახალი ამგები, ცნობები



საქართველოს ზვრებში

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ მთელი ძალით გაჩაღდა რთველი. გურჯაანელებმა გეგმით 37.795 ტონა ყურძენი უნდა მისცეს სამშობლოს. გეგმის შესრულებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში წინ მიდიან ველოსიფედისა და ვაზისუბნის კოლმეურნეობები. კარდანახისა და მუკუზნის საბჭოთა მეურნეობები. მუკუზნელებმა სამშობლოს მისცეს 2.100 ტონა ყურძენი, ველოსიფედელებმა — 2.000, ვაზისუბნელებმა — 1.800, კარდანახელებმა — 1.114 ტონა. 13 ოქტომბრისათვის რაიონში დამზადებული იყო 31.000 ტონა ყურძენი.

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ ყურძნის დამზადებაში წარმატებას მიაღწიეს სანიორის კოლმეურნეობის მევენახეებმა. მათ 933 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიაყიდეს 1.200 ტონა ყურძენი. რთველი წარმატებით მიმდინარეობს აკურის, ჯუღაანისა და ფშავლის კოლმეურნეობებში, ალისხვეთისა და ნიფარეულის საბჭოთა მეურნეობებში. რაიონში დამზადებულია 17.160 ტონა ყურძენი, გეგმა — 24.395 ტონას ითვალისწინებს.

ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘ დასასრულს უახლოვდება რთველი. რაიონში ყურძენი გეგმით 11 450 ტონა უნდა მოკრეფონ. გუშინდელის ჩათვლით დამზადებულია 10.665 ტონა ყურძენი. ყურძნის დამზადების წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა ტიბაანის კოლმეურნეობამ. მან სამშობლოს ნაცვლად 680 ტონისა 695 ტონა ყურძენი მისცა. რთველი წარმატებით მიმდინარეობს ანაგის, ვაქირის, ჯუგაანის, ძველი ანაგის და რაიონის სხვა კოლმეურნეობებში.

ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ რაიონში რთველი წარმატებით მიმდინარეობს, ყურძენს შეუფერხებლად იღებენ და ამუშავებენ ღვინის ქარხნები. მევენახეებმა წელს სამშობლოს უნდა მისცენ 13.590 ტონა ყურძენი. უკვე მოკრეფილი და გადამუშავებულია 12.100 ტონა ყურძენი. ყურძნის კრეფაში წინ მიდიან ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის, ახალსოფლის, შილდის, ჭიკაანის, ენისელის კოლმეურნეობები.

ᲐᲮᲔᲢᲐ ქისტაურის, ოყიოს, ბატნის, ხორხლის და სხვა კოლმეურნეობებში რთველი წარმატებით მიმდინარეობს. რაიონის მევენახეებმა წელს გეგმით 8.790 ტონა ყურძენი უნდა დამზადონ. 13 ოქტომბრისათვის მოკრეფილი და გადამუშავებული იყო 4.800 ტონა ყურძენი.

ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘ მარნეულელმა მევენახეებმა წელს გეგმით 4.558 ტონა ყურძენი უნდა მისცენ სამშობლოს. რთველი წარმატებით გრძელდება. ყურძნის დამზადების გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ალგეთისა და მარნეულის საბჭოთა მეურნეობებმა. ალგეთელებმა ნაცვლად 1.303 ტონისა სამშობლოს მისცეს 1.320 ტონა ყურძენი, ხოლო მარნეულელებმა ნაცვლად 170 ტონისა 230 ტონა. გადაჭარბებით შესრულდა ყურძნის დამზადების წლიური გეგმა საკარიდამო ვენახებიდან. რაიონში 13 ოქტომბრისათვის დამზადებული იყო 3.920 ტონა ყურძენი.

ᲚᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲕᲔᲓᲠᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXIII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ

ᲛᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲜᲝᲑᲐᲗᲘ

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ. (საკ. კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ახალციხის № 1 მაშტის მეშახტეები. მათ ჯერ კიდევ 18 სექტემბრისათვის გაანაღდეს 9 თვის დავალება, ხოლო პირველი ოქტომბრისათვის სამშობლოს მისცეს 3.642 ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი.

პირველობას კვლავ არავის უთმობენ № 1 საექსპლოატაციო უბნის მხგრეველები, რომლებსაც სათავეში კომუნისტი ა. ჩაჩხიანი უდგას. ცხრა თვეში მათ ამოიღეს 28.000 ტონა „შავი ოქრო“ ნაცვლად 27.355 ტონისა. განსაკუთრებით ისახელეს თავი მხგრეველებმა: ძმებმა ილია და ბიკენტი ტეფნაძეებმა, გ. მუშლაძემ, ვ. სკრომულმა, გ. მანჯავიძემ, ა. ჯვარიძემ, თ. კუტიკიანმა, რომლებიც ქვანახშირის ამოღების ყოველდღიურ ნორმას 110-115 პროცენტით ასრულებენ.

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. (საკ. კორ.). დავნერგოთ ახალი, მოწინავე, პროგრესული! — აი მეტალურგიული ქარხნის საგლინავი სამკერის ნოვატორთა მთავარი საზრუნავი. არცთუ დიდი ხნის წინ საგლინავ დგანზე მათ შეძლეს მექანიზებული გიხლადან მზა პროდუქციის კიდეების ჩამოჭრა და მისი ტრანსპორტირება. ამან მნიშვნელოვნად შეამცირა აკრეგატის მოცდენა, ერთიორად გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

შედეგებისა და გახურების ტექნოლოგიის გაუმჯობესებით მგლინავებმა ერთნახევარჯერ შეამცირეს წუნი.

ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲫᲔ. (საკ. კორ.). გამართულად და რენტაბელურად მუშაობს მარელისის გრეხილი ავეკის ფაბრიკის კოლექტივი, რომელსაც ინჟინერი ლ. ნამგალაძე უძღვება.

ფაბრიკის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა ცხრა თვის დავალება, 5 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება, სამშობლოს მისცა 60 ათას მანეთზე მეტი მოგება.

თავდადებულად შრომობენ იმ სოსტატოთა კოლექტივები, რომლებსაც ბ. კიკნაძე, შ. ტყეშელაშვილი, ა. ბალდასაროვა და გ. ლომსაძე ხელმძღვანელობენ.

ფაბრიკის კოლექტივი იბრძვის წლიური დავალების ვადამდე შესრულებისა, და კომუნისტური შრომის სახელის მოპოვებისათვის. მან გადიდებული ვალდებულებები აიღო, რათა ახალი გამარჯვებებით შეხვდეს პარტიის XXIII ყრილობას.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). აქ გაშენებულია მძლავრი ენერგოგიგანტი — ტყიბულჰესი. მისმა კოლექტივმა, რომელსაც საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი პ. კაკუკაშვილი ხელმძღვანელობს, უკვე შეასრულა ელექტროენერგიის გამომუშავების შვიდწლიანი გეგმა. ტყიბულჰესმა ამუშავებიდან სამშობლოს მისცა მილიარდზე მეტი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

შვიდწლიანი გეგმის გადამეტებით ენერგეტიკოსები სამშობლოს აძლევენ ასეულ ათასობით კილოვატსაათ ელექტროენერგიას, ახალ საწარმოო საქმიანობას უმზადებენ ოქტომბრის დღესასწაულს და მშობლიური პარტიის XXIII ყრილობას.

სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ეარალებულია ხილის კრეფა. კარგად შრომობენ ცხინვალის რაიონის სოფელ კეხვის კოლმეურნეობის მებაღეები მათიკო, ანა და ნინო ელბაქიძეები, ეგენინა მძინარაშვილი და სხვები. ყოველი მათგანი ყოველდღიურად 300-350 კილოგრამ ვაშლს კრეფს ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 250 კილოგრამისა.

კურტის კოლმეურნეობის მე-5 ბრიგადის ყოველი წევრი ყოველდღიურად 100 ცენტნერ ვაშლს აბარებს მიმღებ პუნქტს ნაცვლად 60 ცენტნერისა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: სოფელ კეხვის კოლმეურნეობის მოწინავე მკრეფავი კომკავშირელი ანა ელბაქიძე ვაშლის კრეფის დროს.

ფოტო ვ. უბოვენკოსი (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲨᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ქვეყნის მინდვრის მშრომელები, რომლებმაც დაძლიეს შემოდგომის უამინდობით გამოწვეული სიძნელეები, განაგრძობენ მთელი რიგი საგვიანო კულტურების აღებას, ამზადებენ თესლს და ნიადაგს 1966 წლის თესვისათვის; საბჭოთა კავშირის სამხრეთში კიდევ წარმოებს საშემოდგომო კულტურების თესვა.

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 10 ოქტომბრისათვის სიმინდი აიღეს 18,7 მილიონ ჰექტარზე, რაც ნათესი ფართობის 86 პროცენტს შეადგენს. ახლა მიწათმოქმედნი იღებენ სიმინდის სრული სიმწიფის ტარიებს.

გაჩაღებულია შაქრის ჭარხლის აღება, რომელიც ბევრ რაიონში კარგ მოსავალს იძლევა. უკრაინაში, სადაც მთელი ნათესების დაახლოებით ნახევარია, თითოეულ ჰექტარზე აიღეს საშუალოდ 201 ცენტნერი ჭარხალი. ჩვენს ქვეყანაში შაქრის ჭარხლის მინდვრების სამ მეოთხედზე აღებულია მოსავალი, ამოღებულია 380 მილიონზე მეტი ცენტნერი შაქრის ჭარხალი.

გასულ შემოდგომასთან შედარებით უკვე მიმდინარეობს მზესუმზირას აღება. მზესუმზირას მოსავალი უკვე აიღეს 3,9 მილიონ ჰექტარზე, რაც ნათესების 82 პროცენტს შეადგენს. კარტოფილის აღება დამთავრდა სამ მეოთხედზე, ხოლო ბოსტნეულისა ორ მესამედ ფართობზე. ამ მნიშვნელოვანი კულტურების მოსავლის ყველგან აღება სოფლის მეურნეობის მუშაკთა დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა.

ჩვენს ქვეყანაში მზრალად მოხნულია 90,5 მილიონი ჰექტარი. (საკდესი).

ᲔᲜᲘᲡ ᲝᲢᲝ ᲙᲠᲐᲒᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲒᲡ

ᲗᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘ, 13 ოქტომბერი. (საკდესი). უზბეკეთში სამი დღის ყოფნის შემდეგ დღეს ტაშკენტიდან სოჩს გაემგზავრნენ დანიის პრემიერ-მინისტრი ენს ოტო კრაგი და მისი თანმხლები პირნი.

აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო დანიის, საბჭოთა კავშირისა და უზბეკეთის სახელმწიფო ალმებით, დანიის მთავრობის მეთაური გაეცილეს უზბეკეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. იუსუბოვმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა გ. ა. გაბრიელიანცმა, მ. მ. მუსახანოვმა და სხვებმა.

გაცილების დროს ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული, შესრულდა დანიის, საბჭოთა კავშირისა და უზბეკეთის სახელმწიფო ჰიმნები.

დანიის პრემიერი გულთბილად გამოეთხოვა უზბეკეთის ხელმძღვანელებს. მან გულითადი მადლობა უძღვნა მათ გულითადი მიღებისათვის.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტი იუწყება, რომ 1966 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად ნამრომების მიღება მთავრდება ა. წ. 30 ნოემბერს.

ლენინური პრემიების მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ლიტერატურის, ხელოვნების, ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის ნაწარმოებნი, დაბეჭდილი, საჯაროდ ნაჩვენები ან შესრულებული არაუგვიანეს 1965 წლის 15 ივნისისა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

13 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეუნველობის და ტრანსპორტის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის წევრი ი. შეკავრდნაძე, თბილისის სართავი-სატრიკოტაჟო კომბინატის დირექტორი გ. შარიქაძე, რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ე. ჩოფიკაშვილი, „ცხელ ქვეყრის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ე. გოგუა, თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი გ. ავალიანი, აბარის ასსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე შ. ქაქელაძე, თბილისის წინდის ფაბრიკა „ოქროწანის“ მთავარი ინჟინერი გ. ბახტაძე და სხვები.

მათ აღნიშნეს, თუ რა დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებს მრეწველობის მართვის შემდგომი გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერებისათვის, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესიამ დასახეს.

სხდომაზე მონაწილეებმა აღნიშნეს რესპუბლიკის მრეწველობის, ტრანსპორტის, სავაჭრო ქსელისა და საზოგადოებრივი კვების ერთგვარი მიღწევა, აგრეთვე ნაკლოვანებანი ამ საქმეში და კონკრეტული ღონისძიებანი დასახეს, რომლებიც ითვალისწინებენ ნაკლოვანებების აღმოფხვრასა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებას.

კომისიებმა მიიღეს გადაწყვეტილება განხილული საკითხები განსახილველად შეიტანონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. (საკდესი).

ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. (საკდესის კორ.). „თანამედროვე რუსული ლიტერატურული ენის ლექსიკონის“ მე-17 ტომის გამოცემამ დაამთავრეს საბჭოთა ლინგვისტებმა დიდი მუშაობა, რომელიც ორათეულ წელიწადზე მეტს გაგრძელდა.

ეს არის პირველი ცდა მოეცვათ რუსული ენის მთელი სიმდიდრე, რომელიც ლიტერატურამ დაგროვა პუშკინიდან ჩვენი საუკუნის შუა ხანების მწერლებამდე. ლექსიკონში არის სულ 120.480 სიტყვა. ეს საყოველთაოდ სახმარი ენის ყველაზე დიდი განმარტებითი ლექსიკონია, რომელიც კი, ოდესმე გამოცემულა ჩვენს ქვეყანაში. თითოეულ ტომშია 700-დან 2.000-მდე დიდი ფორმატის ფურცელი.

გასულ საუკუნეში შექმნილი დალის ცნობილი განმარტებითი ლექსიკონი შეიცავს 200 ათას სიტყვას. მაგრამ დალი ცდილობდა შეეტანა ყველა დიალექტური და აშკარად მოძველებული სიტყვა, აგრეთვე მეცნიერებათა და ხელობათა ტერმინოლოგია, რაც არ არის ახალ გამოცემაში.

უკანასკნელ ლექსიკონში ფართოდ არის ასახული რუსული ლექსიკის გამოყენება — მოყვანილია მრავალი ციტატი კლასიკური და თანამედროვე რუსული ლიტერატურიდან. რუსული ენის არც ერთ სხვა ლექსიკონში არ არის ასე კარგად წარმოდგენილი ფრაზეოლოგია — მყარი შესიტყვებიდან იდიომებამდე. სიტყვის ცხოვრება ისტორიის დონეზე: ახლა მოხსენებული რომელ ლექსიკონშია პირველად მოხსენებული ესა თუ ის სიტყვა.

პირველი ტომი უნდა გამოსულიყო 1941 წლის დამლევს, მაგრამ ლენინგრადის ბლოკადამ, სადაც მზადდებოდა გამოცემა, მუშაობა შეაწყვეტინა ლინგვისტებს, მნიშვნელოვნად გადამუშავებული ეს ტომი გამოვიდა მხოლოდ 1948 წელს. ტომების მეტი ნაწილი გამოვიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ფ. პ. ფილინის ხელმძღვანელობით.

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲗᲔᲠᲐᲞᲔᲕᲢᲗᲐ ᲛᲔ-14 ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

13 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ თბილისში მუშაობა დაამთავრა თერაპევტთა XIV სრულიად საკავშირო კონფერენციამ, რომელიც სამ დღეს გრძელდებოდა. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის ბევრი ქალაქის 300-ზე მეტმა მეცნიერმა-მედიკმა. კონფერენცია მოიწვიეს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და თერაპევტთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო საზოგადოებამ.

კონფერენციაზე მოისმინეს 60-ზე მეტი მოხსენება, რომლებიც მიეძღვნა შინაგანი დაავადებების, კერძოდ, წყლულოვანი კოლიტის პროფილაქტიკას, დიაგნოსტიკასა და მკურნალობას. მოხსენებების ნაწილი ეხებოდა ორგანოებისა და სისტემების მდგომარეობას ქრონიკული კუჭ-ნაწლავის დაავადების დროს და მისი დიაგნოსტიკის მეთოდებს.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფესორმა ს. მ. რისმა საქმის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— კონფერენციამ განიხილა კუჭ-ნაწლავის ფართოდ გავრცელებული დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის დიდმნიშვნელოვანი პრობლემა. ჩვენ განვიხილეთ იმ მძიმე დაავადების ორი ძირითადი სახეობა — ეგრეთწოდებული არასპეციფიკური წყლულოვანი კოლიტი და კუჭ-ნაწლავის ქრონიკული დაავადება.

— კუჭ-ნაწლავის დაავადებათა მკურნალობის ყველაზე ეფექტიანი მეთოდებია სპეციალური დიეტა, მცირე დოზით სისხლის გადასხმა, ვიტამინები, განსაკუთრებით (B_{12}, B_6) და სხვ. გარდა ამისა, ექიმის დანიშნულებით გამოიყენება მკურნალობა სტეროიდული ჰორმონებით (კორტიზონი, პრედნიზოლონი და სხვ.). ცალკეული ფორმები მოითხოვს ანტიბიოტიკებით მკურნალობას.

უნდა აღინიშნოს, — თქვა დასასრულ პროფესორმა რისმა, — კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებათა მაღალი დონე. კონფერენცია ხელს შეუწყობს კუჭ-ნაწლავის დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომ გაძლიერებას. (საქდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐᲒᲐᲜ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1965 წლის 12 ოქტომბერს გარდაიცვალა საქართველოს კპ გულრიფშის რაიკომის პირველი მდივანი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

ᲒᲠᲘᲖᲝᲚ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ-ᲫᲔ ᲤᲘᲚᲘᲐ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი | **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

ᲡᲛᲔᲒᲘᲡ ᲓᲐᲗᲕᲚᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ, 13 ოქტომბერი. (საკდესი). უმაღლესი საარჩევნო კომისია განაგრძობს თურქეთის პარლამენტის (მეჯლისის) ეროვნული პალატის არჩევნებში მიცემული ხმების დათვლას. როგორც ანატოლიის საagენტო იუწყება, შეგროვებული ხმების რაოდენობით წინ არის „სამართლიანობის პარტია. მარტო 33 ვილაიეთში, სადაც უკვე დამთავრდა ხმების დათვლა (სულ 67 ვილაიეთია), ამ პარტიამ მიიღო 109 დეპუტატის ადგილი, სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ — 53 ადგილი, ეროვნულმა პარტიამ — 6, ახალი თურქეთის პარტიამ — 3 და თურქეთის მუშათა პარტიამ — 2 ადგილი.

მეჯლისის ახალი შემადგენლობა მალე შეიკრიბება არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების შემდეგ.

ᲩᲝᲛᲑᲔᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲧᲔᲜᲔᲡ

ᲑᲠᲐᲖᲐᲕᲘᲚᲘ, 13 ოქტომბერი. (საკდესი). ლეოპოლდვილიდან მიღებული ცნობებით კონგოს პრეზიდენტმა კასავუბუმ გამოაცხადა, რომ გადადგა მოიზ ჩომბეს „გარდამავალი მთავრობა“. კასავუბუმ, რომელიც გამოვიდა კონგოს პარლამენტის ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე, აღნიშნა, რომ ჩომბეს წინააღმდეგობის მიუხედავად მან გადაწყვიტა გადაყენოს ჩომბე მთავრობა. ამ ბრძანებულებას ხელს აწერენ ეროვნული ერთობის“ ახალი მთავრობის მეშვნის შესახებ.

პრეზიდენტმა კასავუბუმ გასული წლის ივლისში დანიშნა ჩომბე „გარდამავალი მთავრობის“ მეთაურად. ამ მთავრობის რწმუნებულებათა ვადა ამოწურა ლეოპოლდვილის კონგოს ახალი პარლამენტის მოწვევასთან დაკავშირებით. მაგრამ ჩომბე და მისი მომხრენი, რომელნიც ძალაუფლებისათვის იბრძვიან, ყოველნაირად ცდილობდნენ სადავოდ გაეხადათ ეს მდგომარეობა და დაეკნებთ მოითხოვდნენ, რომ გაეგრძელებინათ „გარდამავალი მთავრობის“ საქმიანობის ვადა.

ᲡᲔᲜᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲒᲣᲚᲐᲮᲓᲘᲚᲝᲑᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 13 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის ჯარების რიცხვი სამხრეთ ვიეტნამში მიმდინარე წლის ბოლომდე გაიზრდება 180 ათასამდე, ხოლო მომავალში გაიგზავნება „ბევრად მეტი ჯარისკაცი“, განაცხადა სენატის სამხედრო მზადყოფნის საკითხთა ქვეკომისიის თავმჯდომარემ ჯონ სტენისმა. სტენისმა აგრეთვე თქვა, რომ ომის დამთავრების შემდეგაც (?) ამერიკის ჯარები უნდა დარჩნენ სამხრეთ ვიეტნამში „შესაძლოა 15 წელს ან მეტ ხანს“.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗ-ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ

ᲓᲔᲚᲘ, 12 ოქტომბერი. (საკდესი). ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინდოეთის მთავრობის განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ „უკანასკნელი 20 დღის განმავლობაში პაკისტანმა 251-ჯერ დაარღვია შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

პრესის ცნობით ჯამუსა და ქაშმირის შტატის პოლიციამ 10 ოქტომბერს „ქალაქ სრინაგარში ალყა შემოარტყა და დაატმა თავშეფარებული პაკისტანელი პარტიზანები“.

ᲥᲐᲠᲐᲩᲘ, 12 ოქტომბერი. (საკდესი). პაკისტანის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, რომელიც იმოწმებს დაკიდან მიღებულ ასოშეიტად პრეს ოფ პაკისტანის საagენტოს ცნობას, განაცხადა, რომ გუშინ ხუთი საათის განმავლობაში ინდოეთის ჯარები მსუბუქი იარაღის ძლიერ ცეცხლს უშენდნენ კუშტიას სასაზღვრო რაიონს.

ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲑᲠᲘᲢᲝᲜᲘ, 13 ოქტომბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ვ. ბაბკინი და ს. ივანოვი გვაცყობინებენ: დღეს ბრიატონში გაიხსნა კონსერვატიული პარტიის კონფერენცია. პირველად 13 წლის მანძილზე კონსერვატიული პარტია ოპოზიციაშია. კონფერენციამ უნდა განსაზღვროს პარტიის პოლიტიკა უახლოეს მომავალში და, უწინარეს ყოვლისა, გამოარკვიოს სურთ თუ არა კონსერვატორებს ეცადონ, რომ დაუყოვნებლივ ხელთ იგდონ ძალაუფლება, თუ ტაქტიკური მოსაზრებებით უფრო ხელსაყრელად მიაჩნიათ ლოდინის პოლიტიკა.

კონფერენციის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე კონსერვატორებმა გამოაქვეყნეს პროგრამული განცხადება სათაურით „წარუღლვეთ ინგლისს წინ, სწორი გზით“ (ეს ლოზუნგი, რომელიც ერთარშინიანი ასოებითაა დაწერილი, გამოკრულია იმ შენობის ფასადზე, სადაც კონფერენცია მიმდინარეობს). ამ დოკუმენტში მთელი პასუხისმგებლობა ინგლისის მძიმე ეკონომიური მდგომარეობისათვის ლეიბორისტებს ეკისრებათ, ხოლო ყველა უბედურებისაგან უბარ წამლად კონსერვატორები ინგლისელებს სთავაზობენ კერძო მეწარმეობის შეუზღუდავ თავისუფლებასა და სასტიკ ეერიშს მშრომელთა და პროფკავშირთა უფლებებზე.

მუშაობის პირველ დღესვე ძირითად მოხსენებას გააკეთებს პარტიის ლიდერი ედვარდ ჰიტი.

კონფერენციას დღი დაამჩნია იმან, რომ ამ დღეებში ჩაეშალა მოლაპარაკება როდეზიის „დამოუკიდებლობის“ შესახებ. გამოცხადებულია, რომ 15 ოქტომბერს გაიმართება კამათი როდეზიის საკითხზე.

ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲗᲐ ᲛᲝᲫᲕᲔᲓᲕᲐ

ᲯᲐᲕᲐᲜᲐ, 13 ოქტომბერი. (საკდესი). ვენესუელის ეროვნული განთავისუფლების შეიარაღებულ ძალთა პარტიზანულმა რაზმებმა ააფეთქეს ექვსი ნავთობსადენი და ორი გაზსადენი, რომლებიც ეკუთვნის ამერიკის კომპანია „მენე გრანდე ოილ კომპანიას“.

კადრებთან მუშაობა საკვანძო საკითხია

პ. როდიონოვი,
„საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ პარტიული ორგანიზაციებისა და მთლიანად პარტიის წარმატებითი საქმიანობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობის დარგში გადამწყვეტად არის განპირობებული ადამიანების სწორი შერჩევითა და შესრულების შემოწმებით, რაც მთელი ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის საფუძველს შეადგენს. იგი მოითხოვდა რაც შეიძლება მეტი სიფრთხილითა და მოთმინებით ვეკიდებოდეთ იმას, რომ გამოვცადოთ და გამოვიცნოთ ნამდვილი ორგანიზატორები, ფხიზელი გონებისა და პრაქტიკული მოსაზრებულობის ადამიანები, ისეთი ადამიანები, რომლებშიც სოციალიზმისადმი ერთგულება შეერთებული იქნება იმის უნართან, რომ უხმაუროდ და ფუსფუსისა და ხმაურის საწინააღმდეგოდ მოაწყონ მტკიცე და შეთანხმებული მუშაობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა, რომელიც თანმიმდევრულად ახორციელებდა კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგისადმი პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის ხაზს, განსაკუთრებული უურადღება დაუთმო კადრების შერჩევისა და შესრულების შემოწმების საკითხებს. როგორც პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, კადრებთან მუშაობა პარტიის საქმიანობის საკვანძო საკითხია, მისი მთავარი საზრუნავია.

მრეწველობის ხელმძღვანელობის დარგობრივ პრინციპზე გადასვლა და წარმოების განვითარებაში ეკონომიური ბერკეტების გაძლიერება კიდევ უფრო ამაღლებს პარტიული ორგანიზაციების როლს ეკონომიკის განვითარების მაღალი ტემპების უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში, აძლიერებს მათს პასუხისმგებლობას სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სახელმწიფო დავალებების შესრულების საქმეში საწარმოთა და სამეურნეო ორგანოთა მუშაობისათვის. პარტიული კომიტეტები, აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში, მოვალენი არიან, სამეურნეო ხელმძღვანელთა მონაცვლეობის გაუფვრლად, მთავარი უურადღება მიაქცინონ ორგანიზატორული მუშაობას, კადრების შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას, პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისადმი კონტროლს, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის გაძლიერებას.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში კადრებთან მუშაობას, მათს შერჩევას და კომუნისტური იდეურობის, დაკისრებული საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით აღზრდას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს. ეს საკითხები არაერთხელ ყოფილა განხილული საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე და ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმებზე და ბიუროების სხდომებზე, აქტივის კრებებზე. დასახულია და ხორციელდება ლენინისძიებანი კადრებთან მუშაობაში აღმოჩენილი ნაკლოვანებებისა და შეცდომების აღმოსაფხვრელად. პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო სამუშაოზე ასობით არიან დაწინაურებულნი იდეურად გამოწრთობილი, განათლებული ახალი ადამიანები, რომლებსაც მაღალი მორალური თვისებები აქვთ და თავი გამოიჩინეს როგორც უნარიანმა ორგანიზატორებმა. საქმის მცოდნეებმა და ძალუძთ შემოქმედებითად გადაჭრან სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დიდი და რთული ამოცანები.

პარტიული კომიტეტები მუდამ ზრუნავენ ახალგაზრდა, ნიჭიერი მუშაკების დაწინაურებისათვის. ამ ამოცანის დიდ მნიშვნელობას ახალი ძალით გაესვა ხაზი სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმზე. ამავე დროს ვცდილობთ სათუთად ვეკიდებოდეთ ძველ კადრებს, ვაფასებდეთ და მაქსიმალურად ვიყენებდეთ მათს მდიდარ გამოცდილებასა და ცოდნას.

უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კადრების ხარისხობრივი შემადგენლობა. საკმარისია ითქვას, რომ პარტიის საოლქო, რაიონული და საქალაქო კომიტეტების 221 მდივნიდან 217-ს უმაღლესი განათლება აქვს. პარტიული კომიტეტების მდივნებს შორის ჩვენში ბევრია ინჟინერი, აგრონომი, ზოოტექნიკოსი.

რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პარტიული მუშაკი მეურნეობის, ამა თუ იმ დარგის სპეციალისტი იყოს, მაგრამ სწორი არ იქნება პარტიული კადრების შერჩევის დროს მხოლოდ ამ კრიტერიუმით ვხელმძღვანელობდეთ. ცხოვრება ცოტას როდი გვაძლევს იმის დამადასტურებელ საბუთს, რომ ყველა სპეციალისტს როდი შეუძლია იყოს პარტიული მუშაკი და მით უფრო მსხვილი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ამისათვის მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს პოლიტიკური მოღვაწის თვისებებიც. ცუდია ის პარტიული ხელმძღვანელი, რომელსაც ინჟინრის ან აგრონომის დიპლომი აქვს და უნარი არ შესწევს პოლიტიკურად მიუდგეს საქმეს, იმუშაოს ადამიანებთან, მტკიცედ არ ითვისებს ამ მუშაობის უმნიშვნელოვანეს პრინციპებს, ნორმებსა და მეთოდებს.

რამდენიმე ხნის წინათ პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად დაწინაურებულ იქნა ქარხანა „გორიხელსაწყოს“ დირექტორი მ. ა. ილარიონოვი. იგი თავისი საქმის მცოდნე ინჟინერია და შედარებით არცთუ ცუდი სამეურნეო მუშაკი იყო. მაგრამ როცა იგი საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე აირჩიეს, ეს „ტვირთი“ მისთვის აშკარად მძიმე აღმოჩნდა. არა მარტო პირველ ხანად, არამედ შემდეგშიც მას არ ჰყოფნიდა სწორედ პოლიტიკური მიდგომა, პარტიული სიმწიფე, პრინციპულობა და საჭირო გაქანება. კადრებთან მუშაობაში, პარტიულ საქალაქო, საკალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმებზე და ბიუროების სხდომებზე, აქტივის კრებებზე. დასახულია და ხორციელდება ლენინისძიებანი კადრებთან მუშაობაში აღმოჩენილი ნაკლოვანებებისა და შეცდომების აღმოსაფხვრელად. პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო სამუშაოზე ასობით არიან დაწინაურებულნი იდეურად გამოწრთობილი, განათლებული ახალი ადამიანები, რომლებსაც მაღალი მორალური თვისებები აქვთ და თავი გამოიჩინეს როგორც უნარიანმა ორგანიზატორებმა. საქმის მცოდნეებმა და ძალუძთ შემოქმედებითად გადაჭრან სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დიდი და რთული ამოცანები.

პარტიული კომიტეტები მუდამ ზრუნავენ ახალგაზრდა, ნიჭიერი მუშაკების დაწინაურებისათვის. ამ ამოცანის დიდ მნიშვნელობას ახალი ძალით გაესვა ხაზი სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმზე. ამავე დროს ვცდილობთ სათუთად ვეკიდებოდეთ ძველ კადრებს, ვაფასებდეთ და მაქსიმალურად ვიყენებდეთ მათს მდიდარ გამოცდილებასა და ცოდნას.

უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კადრების ხარისხობრივი შემადგენლობა. საკმარისია ითქვას, რომ პარტიის საოლქო, რაიონული და საქალაქო კომიტეტების 221 მდივნიდან 217-ს უმაღლესი განათლება აქვს. პარტიული კომიტეტების მდივნებს შორის ჩვენში ბევრია ინჟინერი, აგრონომი, ზოოტექნიკოსი.

რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პარტიული მუშაკი მეურნეობის, ამა თუ იმ დარგის სპეციალისტი იყოს, მაგრამ სწორი არ იქნება პარტიული კადრების შერჩევის დროს მხოლოდ ამ კრიტერიუმით ვხელმძღვანელობდეთ. ცხოვრება ცოტას როდი გვაძლევს იმის დამადასტურებელ საბუთს, რომ ყველა სპეციალისტს როდი შეუძლია იყოს პარტიული მუშაკი და მით უფრო მსხვილი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ამისათვის მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს პოლიტიკური მოღვაწის თვისებებიც. ცუდია ის პარტიული ხელმძღვანელი, რომელსაც ინჟინრის ან აგრონომის დიპლომი აქვს და უნარი არ შესწევს პოლიტიკურად მიუდგეს საქმეს, იმუშაოს ადამიანებთან, მტკიცედ არ ითვისებს ამ მუშაობის უმნიშვნელოვანეს პრინციპებს, ნორმებსა და მეთოდებს.

რამდენიმე ხნის წინათ პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად დაწინაურებულ იქნა ქარხანა „გორიხელსაწყოს“ დირექტორი მ. ა. ილარიონოვი. იგი თავისი საქმის მცოდნე ინჟინერია და შედარებით არცთუ ცუდი სამეურნეო მუშაკი იყო. მაგრამ როცა იგი საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე აირჩიეს, ეს „ტვირთი“ მისთვის აშკარად მძიმე აღმოჩნდა. არა მარტო პირველ ხანად, არამედ შემდეგშიც მას არ ჰყოფნიდა სწორედ პოლიტიკური მიდგომა, პარტიული სიმწიფე, პრინციპულობა და საჭირო გაქანება. კადრებთან მუშაობაში, ბევრ საქალაქო კომიტეტი და მისი პირველი მდივანი ხელოვნურად უშვებდნენ, რაც უარყოფითს გავლენას ახდენდა დიდნიშვნელოვანი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაჭრაზე. ადგილი ჰქონდა მეგობრული ურთიერთობის, პირადი ერთგულების პრინციპის მიხედვით მუშაკთა შერჩევის ფაქტებს.

საქალაქო კომიტეტში და მის ბიუროში არ იყო კრიტიკა და თვითკრიტიკა. ბიუროს ზოგიერთი წევრი საკმაოდ ხშირად ეთანხმებოდა წინადადებებს აშკარად სუსტი, უავტორიტეტო მუშაკების დაწინაურების შესახებ, რომლებიც არ იყვნენ კეთილსინდისიერების, პატიოსნების, პრინციპულობის, საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების, ადამიანებისადმი ყურადღებით მოპყრობის ნიმუში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელმაც ამას წინათ განიხილა გორის საქალაქო პარტორგანიზაციაში კადრებთან მუშაობისა და შესრულების შემოწმების დაყენების საკითხი, იძულებული იყო გაეთავისუფლებინა ამხ. ილარიონოვი საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან იმისათვის, რომ საქმეს თავი ვერ გაართვა. ჩვენ ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რაოდენ საჭიროა მუშაკის საქმიანი და პოლიტიკური თვისებების ყოველმხრივ შესწავლა, მისი მრავალგზის გამოცდა ხელმძღვანელ პოსტზე დაწინაურებამდე.

კადრების იდეურ წრთობას, როგორც ცნობილია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მუშაკი რაც უფრო კარგად არის იდეურად გამოწრთობილი და თეორიულად მომზადებული, მით უფრო წარმატებით ართმევს თავს დაკისრებულ საქმეს. რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობა გაწეული ახალი სასწავლო წესისათვის მოსამზადებლად პარტიული სწავლების სისტემაში. განსაკუთრებული უურადღება ექცეოდა და ექცევა პროპაგანდისტების შერჩევასა და მომზადებას, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო აქტივის, უყველა კომუნისტის სწავლების ორგანიზაციას.

მუშაკები იზრდებიან და იწრთობიან ცხოვრების, პრაქტიკული მოღვაწეობის ბრძმედში, იმ სიძნელეთა მტკიცედ დაძლევაში, რომლებიც მუშაობაში ხვდებათ. აი რატომ ვცდილობთ ჩვენ შევისწავლოთ ადამიანები მათი ყოველდღიური კონკრეტული საქმეების მიხედვით, აღვზარდოთ ისინი დაკისრებული საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით, საერთო-სახელმწიფო ინტერესების, პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის განუხრელად დაცვის სულისკვეთებით. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყოველმხრივი დახმარება და მხარდაჭერა, რასაც მუშაკებს პარტიული ორგანიზაციები უწევენ, შეხამებული იყოს მათდამი გაზრდილ მომთხოვნელობასთან, შესრულების შემოწმებასთან, რომ ყველა ორგანიზაცია და მათი კადრები მუშაობდნენ საქმიანობისა და ორგანიზებულობის ვითარებაში. მომთხოვნელობის შესუსტება, უკონტროლობა გარდუვალად წარმოშობს პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის უხეშად დარღვევას, თვალთმაქცობის, კუთხურობის, საერთო-სახელმწიფო ინტერესებისადმი უგულებელმყოფელი დამოიდებულების ფაქტებს, სერიოზულ ჩავარდნებს მუშაობაში. უწინარეს ყოვლისა, სწორედ ეს მიგვაჩნია იმის მიზეზად, რაც ამას წინათ ზესტაფონის რაიონში მოხდა. იქ კონტროლს აღარ უწევდნენ სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობას, არ ეხმაურებოდნენ სიგნალებს, რომ რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირში ყველაფერი რიგზე როდი იყო, რომ იგი დანაგვიანებული იყო ადამიანებით, რომლებიც ნდობის ღირსი არ იყვნენ. ამის შედეგად ზოგიერთი მუშაკი დაადგა ბოროტმოქმედების, სახელმწიფოსა და მოსახლეობის მოტყუების გზას და დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა ქვეყანას.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა ამასთან დაკავშირებით სერიოზული დასკვნები გაკეთა. უსასტიკეს პარტიულ და სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მიცემულნი ისინი, ვისაც კონკრეტულად მიუძღვის ბრალი დაშვებულ ბოროტმოქმედებაში, სასტიკად არიან დასჯილნი რაიონის ხელმძღვანელებიც. ცენტრალურმა კომიტეტმა რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა პ. პ. სახეჩიძე, რომელიც გადაგვარებულთა, მატყუარათა და თაღლითთა მიმართ ლიბერალიზმს იჩენდა.

ეს გაფრთხილება უნდა იყოს იმათთვის, ვინც კადრებისადმი მომთხოვნელობას არ იჩენს, უდარდელად ეკიდება ადამიანთა შემოწმებას პრაქტიკულ საქმეებში, ივიწყებს, რომ პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, პარტიის პოლიტიკის განხორციელებისადმი სისტემატური კონტროლი კადრების სწორი აღზრდის, პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი პირობაა.

დაუცხრომლად აუმჯობესებდნენ კადრებთან მუშაობას, ეხმარებოდნენ მათ მუშაობის ლენინური სტილის დაუფლებაში, ცდილობდნენ მიაღწიონ სიტყვისა და საქმის ერთიანობას, ყოველი ღონისძიებით აძლიერებდნენ მუშაკთა პასუხისმგებლობას დაკისრებული საქმისათვის, უფითარებდნენ მათ ინიციატივას — ეს მიაჩნიათ რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს თავიანთ პირველხარისხოვან ამოცანად. ეს არის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დიდი და რთული ამოცანების წარმატებით გადაჭრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა.

„პრავდა“ 12/X.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ქარხანა „ელექტროძრავის“ კოლექტივმა მიმდინარე წლის სექტემბრის გეგმა 6 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა, სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცა 14.000 მანეთის პროდუქცია. სკკპ XXIII ყრილობის შესახვედრად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა საამწყობო საამქროს ზეინკალთა ბრიგადა, რომელსაც ჯემალ არჩვაძე ხელმძღვანელობს. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ბრიგადირი ჯ. არჩვაძე ბრიგადის წევრებს მ. ხერუაშვილს, გ. კულდონაშვილს და ა. ნანობაშვილს ესაუბრება ელექტროძრავების აწყობის ხარისხზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი—ცხოვრებაში!

წარმაჯების გასალები კოლექტივის ხელშია

თბილისის ჰიდრომეტხელსაწყოების ქარხნის კოლექტივი მოწონებით შეხვდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმისა და სსრკ უმაღლესი საბჭოს VI სესიის გადაწყვეტილებებს. ახლა მასალების შესწავლიდან საქმეზე გადავედით. საამქროებში გაიშალა შეჯიბრება შეიდწლედის ბოლო წლის წარმატებით დამთავრებისა და XXIII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

გასული 9 თვის მანძილზე კოლექტივს ცუდად როდი უმუშავია. გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 20,4 პროცენტით მეტი პროდუქცია გამოუშვა. გამომავლებელი პროდუქციიდან 29,9 პროცენტს შეადგენს ახალი, 1965 წლის ათვისებული ხელსაწყოები.

ჩვენი ქარხანა ერთადერთი ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხანაა საბჭოთა კავშირში. აქ დამზადებული პროდუქცია იგზავნება საზღვარგარეთის 40-ზე მეტ ქვეყანაში. ეს კი ძალზე ბევრს გვავალებს. ვიცით, რომ ჩვენი პროდუქციის ხარისხისა და მისი სერიოლ ტექნიკური დონის მიხედვით ეფასებათ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ჰიდრომეტეოროლოგებს აზრი საერთოდ საბჭოურზე. ამიტომ ხარისხის საკითხი ჩვენთან მუდამ აქტუალურად დგას. მისი გაუმჯობესებისათვის ბრძოლა თავიდანვე ძირითად პრობლემად დაგვესახა.

ჩვენი ქარხანა რენტაბელურად მუშაობს, დაამზადებენ პროდუქციის ღირებულების თვითეულ მანეთზე დანახარჯი უკანასკნელი სამი წლის მანძილზე 84 კაპიკიდან 68 კაპიკამდე შევამცირეთ; ამიტომ მოგების ახარცხებიდან შექმნილი მუშაკთა მატერიალური წახალისების ფონდი, რომელიც მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ მიღებული კანონის საფუძველზე შეიქმნება, სამუალებას მოგვცემს კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი და დავაჩქაროთ ახალი ხელსაწყოების თვისება.

კანონი ზრდის ყველა მომწოდებლის პასუხისმგებლობას ძასალების დროულად მიწოდებისათვის. საჭიროა განსაკუთრებით გაიზარდოს პასუხისმგებლობა დაბალების ხარისხისათვის, რადგან დაბალი ხარისხის ან უვარგისი მასალისგან ხარისხიანი პროდუქციის დამზადება შეუძლებელია. თბილისის ბაზების მოეწყობლობის გამო ღია ცის ქვეშ ინახება ლითონები, რის შედეგად კოროზიებულ ლითონს ვღებულობთ, ეს კი იწვევს ბევრ დამატებითს ხარჯებს და ამავე დროს აუარესებს ნაწარმის ხარისხს.

ჩვენ, ზუსტი ხელსაწყოთმშენებლები, გადავეჩვიეთ რეკლამაციებს. ამიტომ თვითეული რეკლამაცია ქარხანაში საგანგებო მოვლენად ითვლება. და აი ამ ცოტა ხნის წინათ ლიტვიდან დაგვიბრუნეს ძვირად ღირებული, ზღვის დინების სიჩქარის და მიმართულების დისტანციური თვითმწერი ხელსაწყო. შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ხელსაწყოში გადამწყვარიყო ტრიოდი, რომელსაც ჩვენ კომპლექტაციისათვის ვიღებთ. აღნიშნულ ხელსაწყოში გამოყენებულია სხვადასხვა ზომისა და გაბარიტის 16 კონდენსატორი, 6 რადიონათერა, 8 რელე და ა. შ. ცხადია, თუ მათი ხარისხი დაბალი იქნება, დაბალი იქნება თვით პროდუქციის საიმედოობა და ხანგამძლეობა, მცირე იქნება წარმოების მოგება და, მაშასადამე, წახალისების ფონდიც.

კანონით მატერიალური წახალისების ფონდი გაიზრდება აგრეთვე იმის მიხედვით, თუ როგორი იქნება ახალი პროდუქციის ხვედრითი წონა. დღეგმე ქარხნის დირექტორები გაურბოდნენ ახალ პროდუქციას და ამჯობინებდნენ გამოეშვათ მოდელებული, რომელზეც მოთხოვნილება ნაკლებია. ეს იმიტომ, რომ საწარმო დაინტერესებული იყო როგორმე შესრულებინა ნორმატიული ბრიგადა, ხოლო რეალიზაცია მას არ აინტერესებდა. ახალი ვითარება, როცა წარმოების გეგმაში საერთო პროდუქციის მაჩვენებლის ნაცვლად დაწესდება დავალებანი მის მიერ რეალიზებული პროდუქციის მოცულობის შესაბამისად, გვაიძულებს ჩვენ, წარმოების ხელმძღვანელებს, დროულად მოვსწავთ გეგმიდან მოძველებული პროდუქცია და გამოვუშვათ ახალი, თუნდაც მისი დამზადება ათვისების ზოგიერთ სიძნელესთან იყოს დაკავშირებული.

ჩვენი ქარხნის კოლექტივი განსაკუთრებული მოწონებით შეხვდა ცნობას იმის შესახებ, რომ სახელმწიფო გეგმაში საწარმოს ფაფუტაკედება პროდუქციის გამსგავსებული ან ჯგუფური ნომენკლატურა.

ჩვენ ვამზადებთ ორმოცდაათამდე სახელწოდების ხელსაწყოს, ამიტომ ასეთ პირობებში ნომენკლატურის დაცვა, როცა არ იყო მოგვარებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, ქარხნისათვის ყველაზე რთულ პრობლემას წარმოადგენდა. გარდა ამისა, სამეურნეო წლის მანძილზე იზრდებოდა მოთხოვნილება ზოგ ხელსაწყოზე და მცირდებოდა მეორეზე. არც ქარხნის ხელმძღვანელობას და არც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ჰქონდა უფლება შექმნილი ვითარების შესაბამისად შეეცვალა ნომენკლატურა. ეს იწვევდა ზოგი პროდუქციის ჩაწოლას და მეორის ნაკლებობას.

**საქმე ზოგჯერ კურიოზამდე მიდიოდა. აი აქის ერთი მაგალითი. ჩვენს ქარხანას შარშან გეგმით გარკვეული რაოდენობით უნდა დაემზადებინა პირანომეტრები და სტაციონარული ალბედომეტრები. ქარხნის კოლექტივმა მოწონებაც რაციონალიზატორის პ. საფაროვის წინადადებით შექმნა უნივერსალური პირანომეტრის ახალი კონსტრუქცია, რომელიც ორივე ხელსაწყოს მაგიერობას უწევდა. ეს ამცირებდა ლაბორატორიებში ფულის ხარჯვას. ეკონომია ასეთი: ერთი ალბედომეტრი ღირს 1500 მანეთი, ერთ პირანომეტრზე 800 მანეთი. ეს ნიშნავს, ორ ალბედომეტრზე 3000 მანეთი, ორ პირანომეტრზე 1600 მანეთი. ეს ეკონომია ეფუძნებოდა ორ ალბედომეტრზე 3000 მანეთი, ორ პირანომეტრზე 1600 მანეთი. ეს ეკონომია ეფუძნებოდა ორ ალბედომეტრზე 3000 მანეთ, ორ პირანომეტრზე 1600 მანეთ, ანუ 4600 მანეთ ფულის ეკონომიას

საერთაშორისო ცხოვრება

პროფკავშირთა VI მსოფლიო კონგრესი

ვ ა რ შ ა ვ ა, 12 ოქტომბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ვ. კუზნეცოვი და ი. მასლენიკოვი იტყობინებიან:

დღევანდელ დილის სხდომაზე საერთაშორისო მუშათა პარლამენტის დელეგატებმა, როგორც აქ ერთსულოვნად უწოდებენ პროფკავშირთა VI მსოფლიო კონგრესს, დიდი ყურადღებით მოისმინეს ირანის წარმომადგენლის, ირანის მუშათა და მშრომელთა გაერთიანებული პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს გენერალური მდივნის რეზა რუტას გამოსვლა. ორატორმა მოუწოდა კონგრესის მონაწილეებს განამტკიცონ ერთობა და გააკმტიურონ ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელმაც მიითვისა ირანის ბუნებრივი სიმდიდრენი, გადააქცია იგი თავის სამხედრო ბაზად. რ. რუსტამ ხალხთა სოლიდარობის შესანიშნავი მაგალითი უწოდა დახმარებას, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს ირანს სამრეწველო საწარმოთა მშენებლობაში.

კონგრესის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ აფრიკის პროფკავშირული მოძრაობის ვეტერანის აბდულა დიალოს გამოსვლას. მან დელეგატებს გააცნო კონტინენტის ხალხთა ბრძოლა თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის.

გონსალო კანტილიომ — კოსტა-რიკის მშრომელთა კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა თავისი სიტყვა მიუძღვნა კოსტარიკელ მშრომელთა - ბრძოლის ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიების წინააღმდეგ.

შემდეგ გამოვიდა სრულიად უნგრეთის პროფკავშირთა საბჭოს გენერალური მდივანი შ. გაშპარი. მან მხარი დაუჭირა ლუი საიანისა და ლუის პადილიას მოხსენებებს.

საუდის არაბეთის პროფკავშირთა საბჭოს წევრმა აამტკიცა სალიმ თქვა, რომ იმპერიალისტთა და მათ აგენტთა უღელქვეშ მყოფი ქვეყნების მუშები იმედითა და რწმენით შეჰყურებენ მომავალს და მის განსაბიერებად მიაჩნიათ წარმატებანი, რომლებსაც სოციალისტური ქვეყნების ხალხებმა მიაღწიეს.

ათეულ მილიონობით მუშის სოლიდარობა, რომელთა წარმომადგენლებიც არიან გარშემავალ პროფკავშირთა მეექვსე მსოფლიო კონგრესის დელეგატები, განსაკუთრებით ძლიერ ვლინდება ვიეტნამის საკითხში. თითოეული დელეგატი გადაჭრით გმობს ამერიკის აგრესიას ვიეტნამის მიმართ და გამოთქვამს რწმენას, რომ გაიმარჯვებს ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი საქმე.

კონგრესის მუშაობაში დიდი ადგილი უკავია აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის პროფკავშირული მოძრაობის პრობლემებს.

დღევანდელ დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ე. პასტორინო (ურუგვაი), ო. კორნი (ავსტრია), ა. კაბრალი (პორტუგალიის გვინეა).

დიდი წარმატებით სარგებლობს აქ გახსნილი გამოფენა „ვიეტნამი, შრომობს და იბრძვის ამერიკელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ".

ვ ა რ შ ა ვ ა, 13 ოქტომბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ვ. კუზნეცოვი და ი. მასლენიკოვი იტყობინებიან:

გუშინ პროფკავშირთა VI მსოფლიო კონგრესის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივნის ლუი საიანისა და პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მდივნის ლუის პადილიას მოხსენებების განხილება.

კვების მრეწველობის მშრომელთა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების სახელით კონგრესის მონაწილეებს მიესალმა გაერთიანების გენერალური მდივანი ელია მოია.

მარტინიკის პროფკავშირთა წარმომადგენელმა ვალეონ რეხენ გამოთქვა რწმენა, რომ VI მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებანი ხელს შეუწყობენ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მშრომელებს ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

კორეის მუშათა კლასი და პროფკავშირები, განაცხადა კორეის პროფკავშირთა გაერთიანების ცენტრალური კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარემ ლი ჩონ სუმ. ისევე როგორც წარსულში, კვლავაც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთგულნი იქნებიან.

კორეელ ხალხს, განაცხადა ორატორმა სურს, რომ კორეის გაერთიანების საკითხი თვით კორეელებმა გადაწყვეტ დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე.

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთისა და სხვა ქვეყნების პროფკავშირთა წარმომადგენლები.

სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარემ კან იუნ-ხუმ თავისი სიტყვა ძირითადად მიუძღვნა იმას, რომ ჩამოყალიბებინა ჩინეთის ხელმძღვანელთა ცნობილი შეხედულებანი საერთაშორისო ურთიერთობის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პრობლემებზე.

განიარაღებისათვის ბრძოლა ყველა ქვეყნის საქმეა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესია

ნიუ-იორკი, 12 ოქტომბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ი. ლაპიცკი და ს. ლოსევი იუწყებიან:

დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დაგმო სამხრეთ როდეზიის ხელისუფალთა განზრახება გამოაცხადონ „დამოუკიდებლობა" იმ მიზნით, რომ სამუდამოდ დაამკვიდრონ სამხრეთ როდეზიაში თეთრკანიანი უმცირესობის ბატონობა.

გენერალურმა ასამბლეამ, რომელიც დიდად შეშფოთებულია სამხრეთ როდეზიაში შექმნილი მდგომარეობით და სმიტის რეჟიმის მუქარით, ცალმხრივი წესით გამოაცხადებდა დამოუკიდებლობასო, დღეს შეწყვიტა საერთო პოლიტიკური დისკუსია, რათა მტკიცედ გაფრთხილოს სამხრეთროდეზიელი რასისტები, თუ რა შედეგები მოჰყვება მათ მიერ განზრახულ ავანტიურისტულ ნაბიჯებს. ასამბლეამ დაამტკიცა რეზოლუცია, რომელიც გუშინ გვიჩვენა დელეგაციის ინიციატივით მიიღო მეოთხე კომიტეტმა. ამ რეზოლუციაში, რომლის თანაავტორები გახდა აფრიკისა და აზიის ორმოცი სახელმწიფო, გენერალურმა ასამბლეამ განაცხადა, რომ თეთრკანიანი უმცირესობის ბატონობის სამუდამოდ დამკვიდრება შეეთავსებელია ხალხთა თანასწორობისა და თვითგამორკვევის პრინციპებთან, რომლებიც გამოცხადებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით და დეკლარაციით კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

ამ რეზოლუციაში ასამბლეა „სთხოვს შეერთებულ სამეფოსა და ორგანიზაციის წევრ ყველა სახელმწიფოს არ ცნონ ახლანდელ ხელისუფალთა მიერ სამხრეთ როდეზიის დამოუკიდებლობის გამოცხადება, რაც მხოლოდ და მხოლოდ უმცირესობის ინტერესებს შეესაბამება, და არ ცნონ ხელისუფლების რამე ორგანო, რომელიც შეიძლება შეიქმნას ამის შედეგად;



რეზოლუციამ მიიღო 107 ხმა. მის წინააღმდეგ ხმის მიცემა გაბედეს მხოლოდ სამხრეთ როდეზიის რასისტული რეჟიმის მოკავშირეებმა — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ და პორტუგალიამ. საფრანგეთის წარმომადგენელმა თავი შეიკავა, ხოლო ბრიტანეთის დელეგატმა დემონსტრაციულად უარი თქვა კენჭისყრაში მონაწილეობაზე, გაიმეორა რა უსაფუძვლო მოსაზრება, თითქოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არა ჰქონდეს უფლება ჩაერიოს სამხრეთ როდეზიის საქმეებში.

შემდეგ განახლებულ საერთო პოლიტიკურ დისკუსიაში გამოვიდა ტოგოს საგარეო საქმეთა მინისტრი ჟორჟ აპედო ამახი.

აპედო ამახმა განაცხადა, ჩემი დელეგაციის აზრით, მიზანშეწონილია საყოველთაო და სრული განიარაღებისაკენ ვიაროთ იმ კერძო ღონისძიებათა განხორციელების გზით, რომლებსაც საბჭოთა კავშირის წინადადება ითვალისწინებს. მან მოითხოვა აგრეთვე მოიწვიონ განიარაღების მსოფლიო კონფერენცია.

დღის სხდომაზე საერთო დისკუსიაში უკანასკნელი გამოვიდა მინისტრი, რომელიც განაგებს სპილოს ძვლის ნაპირის საგარეო საქმეებს, ქამილ ალაალი. მანაც მხარი დაუჭირა განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის იდეას.

ნიუ-იორკი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გუშინდელ დღის ბლანკრულ სხდომაზე, საერთო დისკუსიაში გამოვიდა ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბრუნო კრეისკი, რომელმაც მოაწონა განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის იდეა. მაგრამ, თქვა მან, ასეთ კონფერენციას წარმატების შანსი ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დისკუსიაში მონაწილეობას მიიღებს ყველა ატომური სახელმწიფო.

ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სვარან სინგჰმა თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა იმას, რომ განმარტა ინდოეთის მთავრობის პოზიცია ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტში. სინგჰმა აღნიშნა, რომ, მისი მთავრობის აზრით, განიარაღების პრობლემებსა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ღონისძიებებს შორის პირველ რიგში უნდა გადაიჭრას ატომური იარაღის გავრცელების თავიდან აცილების საკითხი.

ინდოეთის წარმომადგენელმა მოითხოვა რაც შეიძლება მალე მოიწვიონ განიარაღების მსოფლიო კონფერენცია საფრანგეთისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობით, აგრეთვე ხაზი გაუსვა, რომ „საჭიროა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთელ საქმიანობაში".

საბერძნეთის წარმომადგენელმა ცირიმოკოსმა აღნიშნა, რომ წარმატებით ვითარდება საბერძნეთის ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან — იუგოსლავიასთან, რუმინეთსა და ბულგარეთთან. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე გადაიჭრას კვიპროსის საკითხი.

საბჭოთა წინადადებას, რომ მიღებულ იქნეს დეკლარაცია სახელმწიფოთა სამნაო საქმეებში ჩარევის შეუწყნარებლობის, მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვის შესახებ, მხარი დაუჭირა თავის გამოსვლაში პოლონეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვინცენტი რა

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

აკ. წერეთლის დაბადების 125 წლისთავისათვის

◆ ახალი ექსპონატები

საჩხერე. (საკ. კორ.). დიდი მგოსნის მშობლიური კუთხე ემზადება აკაკის დაბადების 125 წლისთავის იუბილესათვის. მიმდინარეობს სხვიტორის სახლ - მუზეუმის ეზოს კეთილმოწყობა და სოფელ სავანეში იმ სახლის რესტავრაცია, სადაც პოეტმა ბავშვობა გაატარა.

აკაკის მუზეუმში გამოჩნდა ახალი ექსპონატები — აკაკის საზამთრო კოსტიუმი, პალტო, პირადი ნივთები. საინტერესოა ადრესები, რომლებიც აკაკისათვის მიურთმევიათ 1908 წელს საიუბილეო ზეიმზე. „სასიქადულო მამულიშვილს, საქართველოს სიამაყეს აკაკის“ — ასეთი წარწერა აქვს თბილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოების ადრესს. საინტერესოა „განათლების“ საზოგადოების, თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა, ბ. ნ. კრუჩინინას დასის (ბაქოდან) ადრესები.

განსაკუთრებით საყურადღებოა ქართველიშვილის ზიარ გამოცემული, ირმის ტყავის ყდაში ჩასმული და მოოქროვილი უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც თბილისის ქართველ ქალებს 1908 წლის 7 დეკემბერს მგოსნისთვის მიურთმევიათ. მასზე ოქროს ასოებით არის წარწერა:

„სულმნათო, შენც ხომ ისწავლე
ის საიდუმლო ყღერისა,
ან აგისრულდა წადილი, —
მგოსანი გახდი ერისა“.

საიუბილეო დღეებში აკაკის ძეგლი, რომელიც დამზადებულია სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ვ. თოფურიძის პროექტით, დაიდგმება შევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ეზოში. მხატვარი მ. მიქელაძე-ბაგრატიონი ნატურიდან ხატავს აკაკის თანამედროვეთა პორტრეტებს.

პოეტისადმი მიძღვნილი გამოფენა

ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმში მომზადებული ხედება სახელოვანი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის დაბადების 125 წლისთავს. ილიას სახლ-მუზეუმში მოეწყო სპეციალური გამოფენა აკაკის ნაყოფიერი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მოეწყო აგრეთვე აკაკისადმი მიძღვნილი მოძრავი გამოფენა პოეტის საიუბილეო დღეებში მცხეთის რაიონის სოფლებში გასატანად. მუზეუმის მეცნიერი მუშაკები ამზადებენ თემებს დიდი აკაკის მოღვაწეობის შესახებ, ილიასა და აკაკის ურთიერთდამოკიდებულებაზე.

აკაკის საიუბილეო დღეებში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ეზოში, იმ ორსაუკუნენახევრიანი კაკლის ხის ქვეშ, სადაც ირაკლიმეორე შეხვედრია ილია აკაკის, მოეწყობა ა. წერეთლისადმი მიძღვნილი ლიტერატურული დღე, რომელშიც მუზეუმის მუშაკებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ საგურამოს ი. ჭავჭავაძის სახელობის სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები.

შ. მარკოზაშვილი.

ილ. ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმის მუშაკი.

კომეტა მგზავ დაეჯახება

ბ. ლევინი,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.

დილით ცის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ახლა კომეტა იკეია-სეკის დანახვა შეიძლება. ჰორიზონტს იქიდან იგი ამოდის დაახლოებით ორი საათით ადრე მზის ამოსვლამდე. ეს კომეტა უახლოეს დღეებში მიუახლოვდება ჩვენს მნათობს, და მისი სიკაშკაშე იმდენად იმატებს, რომ მისი დანახვა ალბათ შესაძლებელი იქნება მზის გვერდით ლურჯ ცის ფონზე. უფრო მეტიც, მისი ორბიტის უკანასკნელი გამოანგარიშების მიხედვით 21 ოქტომბერს იგი მზეს დაჯახება და დაიღუპება, მზის გარეგან შრეებში აორთქლდება.

ასტრონომებისათვის ცნობილია ექვსი კომეტა, რომლებიც მზის ზედაპირთან ახლოს მისულა, მაგრამ ყველა მათგანს შემოუღლია მზისათვის და კვლავ გაფრენილა შორს, პლანეტათა სისტემის ფარგლებს გარეთ. მათგან ორის დაკვირვება შესანიშნავ სანახაობას წარმოადგენდა, როცა ისინი მზის ახლოს იყვნენ. სიკაშკაშით მათი შედარება შეიძლებოდა ბაღრმთვარესთან, ხოლო მათი კუდები შორს ცაში იყო გაჭყარცნილი. ზოგიერთ დღეს კუდი, პროექტორის სხივის მსგავსად, ჰორიზონტს იქიდან ამოდიოდა მაშინ, როცა კომეტის თავი ჯერ კიდევ დაფარული იყო. 1882 წლის კომეტა, ამ ჯგუფდან ყველაზე ცნობილი, შეუიარაღებელი თვალით უნახავთ, როცა იგი მხოლოდ ოთხი გრადუსით იყო დაშორებული მზეს, ხოლო ტელესკოპში მეექვსმაცავი მინით იგი უნახავთ მზის დისკოს ზედ კიდესთან.

კომეტების ნისლოვანი თავები — ეს არის გაუხშოებული ატმოსფეროები იმ გაზებისა, რომლებიც კომეტის პატარა მაგარი ბირთვიდან მზის სითბოს მოქმედებით გამოიყოფა. კომეტების ბირთვები შედგება სხვადასხვა ყინულებისაგან, ესე იგი არაკეროლადი, კრა ნივთიერებათა მინარევიანი გაყინული გაზებისაგან. კომეტების სპექტრში ჩვეულებრივ ჩანს სხვადასხვა მოლეკულების — ნახშირბადის, აზოტის, ნახშირაბნის და სხვათა გამოსხივება მხოლოდ დედამიწის ორბიტის შიგნით მდებარე სივრცეში შემოფრენილ კომეტებს გამოაჩნდებათ ხოლმე ნატრიუმის ატომების გამოსხივების ხაზები. 1882 წლის კომეტას, როცა იგი მიფრინავდა მზის ზედაპირიდან 450.000 კილომეტრ მანძილზე, სპექტრში გამოაჩნდა რკინის, ნიკელისა და სხვა არაკეროლადი ელემენტების ხაზები. ალბათ. იმასვე დავინახავთ კომეტა იკეია-სეკაზეც. მზის ახლოს სითბოს ნაკადი საკმაოდ ინტენსიურია. კრა, ნივთიერებათა აორთქლებისთვისაც კი, რომლებშიც უხვად არის რკინა და სხვა ლითონები.

1882 წელს ასტრონომებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ ცის მნათობთა სპექტრების ფოტოგრაფიულად გადაღება. 1882 წლის კომეტის სპექტრს ვიზუალურად აკვირდებოდნენ ტელესკოპზე მიმაგრებული სპექტროსკოპის საშუალებით. ასეთი დაკვირვების შედეგები საკმაოდ ზუსტი არ არის. იკეია-სეკის დაკვირვება შესაძლებლობას გვაძლევს გამოვიკვლიოთ კომეტის შემადგენლობა თანამედროვე აპარატურის შემწეობით.

კომეტების კუდები ნაკადებია გაზებისა და მტვრისა, რომლებიც კომეტის ბირთვიდან მიქრიან მზის სხივების წნევის. აგრეთვე დამუხტულ მოლეკულებზე მოქმედი ელექტრული ძალების მოქმედებით. მზისაკენ მიმფრინავი კომეტა იკეია-სეკი შეაღწევს მზის გვირგვინის შიგნით, სადაც ელექტრული და მაგნიტური ველები სხვაგვარია, ვიდრე საპლანეტათშორისო სივრცეში. საცნობით შესაძლებელია, რომ ამ დროს ვნახავთ მოვლენებს, რომელთა წინასწარმეტყველება ძნელია.

ასტრონომებმა დღემდე არ იციან, გამოასხივებენ თუ არა კომეტები. რადიოტალღებს. 1956 წლის კამკაშა კომეტის არენდა-როლანდის რადიოგამოსხივების აღმოჩენის ცდებს ერთმანეთის საწინააღმდეგო შედეგები მოჰყვა: ზოგიერთ ობსერვატორიას არავითარი გამოსხივება არ შეუმჩნევია, ზოგიერთმა კი თავთოს მისი რეგისტრაციაც მოახდინა. ახლა, გარდა კომეტა იკეია-სეკის საკუთარი რადიოგამოსხივების გამოკვლევისა, რადიოასტრონომებს შეუძლიათ სცადონ იმის აღმოჩენა, თუ რა გავლენას ახდენს კომეტა მზის გვირგვინის რადიოგამოსხივებაზე. კომეტის გაზების მნიშვნელოვანი ნაწილი იონიზებულია, ესე იგი კომეტის პლაზმას ქმნის. ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ კომეტის შეღწევა მზის გვირგვინს შიგნით რაღაც გავლენას მოახდენს უკანასკნელის რადიოგამოსხივებაზე.

თუმცა ჯერ კიდევ დასაზუსტებელია კომეტა იკეია-სეკის ორბიტა შემდგომ დაკვირვებათა საფუძველზე, მაგრამ არა ვგვონია, რომ ამ დაზუსტებამ შეცვალოს დასკვნა მზესთან კომეტის დაჯახების შესახებ. 21 ოქტომბერს დღისით კომეტა მიეახლოვდება მზის დისკოს კიდეს და მხედველობიდან დაგვეკარგება. ცოტა ხნის შემდეგ კი სულაც შეწყვეტს არსებობას, რადგან წამში 618 კილომეტრის სიჩქარით შეიჭრება მზის გავარვარებულ მორეულში. ეს იქნება პირველი შემთხვევა ისეთი იშვიათი მოვლენის დაკვირვებისა ასტრონომების მიერ, როგორიც არის კომეტის დაცემა მზეზე.

„იზვესტია“ 13/X.

საიუბილეო სეზონში

გორის გ. ერისთავის სახელობის თეატრმა თავისი მეასე საიუბილეო სეზონი გახსნა ა. სუმბათაშვილ-იუჟინის „ლალატით“. ამ სეზონში წარმოდგენილი იქნება შემდეგი ახალი დადგმები — ო. ჩხეიძის „ჩვენი ნებიერი ბიჭი“, გ. ქელბაქიანის „ციცინათელა“, ი. ურჯუმელაშვილის „გზაბნეული“, ე. ციცაგის „ფითრი“, გ. ერისთავის „გაყრა“, ვ. კატაევის „ეამი სიყვარულისა“, ა. პარონიანის „ძია ბაღდასარი“, ა. ბრუშტეინის „ტრისტანი და იზოლდა“, ო. უაილდის „პიდიუს დედოფალი“.

სპ. რეხვიაშვილი.

მუშები ინჟინრები გასდნენ

ბათუმი. (საკ. კორ.). ელექტროტექნიკურ ქარხანაში კარგი ტრადიცია დამკვიდრდა — ქარხანა ყოველწლიურად თავის ხარჯზე რამდენიმე მუშამოსამსახურეს გზავნის უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლად.

საწარმოს უკვე შეემატა უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე რვა სპეციალისტი.

თენგიზ ჯოხაძე სასწავლებელში წასვლამდე ამწყობ ზეინკლად მუშაობდა. ამჟამად კი იგი ინჟინერ-კონსტრუქტორია და ექსპერიმენტალურ უბანს ხელმძღვანელობს. მისი მონაწილეობით ათვისებულია სამი ახალი მანქანა: ელექტროსაწევარი АТБ-300 და ორი სახის ელექტროურიკა. ბახო კუნქულია ოსტატ ნორმადარად მუშაობდა. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე კი საწარმოო უბნის უფროს ოსტატად დანიშნეს. მისი უბანი ერთ-ერთი მოწინავეა ქარხანაში.

ო. ბასილაძემ, გ. შოტიდმა, ფ. გაბელაიამ და სხვებმა წარმოებისაგან მოუწყვეტლად მიიღეს უმაღლესი განათლება. ახლა ისინი წამყვან უბნებზე მუშაობენ.

ამჟამად ქარხნის ხარჯზე თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 9 ახალგაზრდა სწავლობს, 36 მუშა კი დაუსწრებლად ეუფლება მეცნიერებას სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

სამშობლოს მოღალატეს ხალხი ასამართლებს

რიგა, 12 ოქტომბერი. (საკ. კორესპონდენტები **მ. ბორისოვი** და **ე. კარკლინი**). დღეს სამხედრო დამნაშავეების ალბერტ ეიხლისის, ბოლესლავ მაიოვსკისისა და ხარალდ პუნტულისის (ამჟამად ისინი იმალებიან კანადის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში), აგრეთვე იაზეპ ბასანკოვიჩის, იანის კრასოვსკისისა და პეტერის ვიიჩუკის სისხლის სამართლის საქმის გამო სასამართლო პროცესზე დამთავრდა საბჭოლდებული ბრალდების კითხვა. სასამართლომ დაიწყო განსასჯელთა დაკითხვა. პირველი უპასუხეს იაზეპ ბასანკოვიჩი, და რიგის რადიოკარხნის კულტურის სასახლეში შეკრებილთა წინაშე ადიგა პატლერელ ლაქიათა არადამიანური დანაშაულის ფაქტები.

...1941 წლის აგვისტოში უბნის პოლიციელი ბასანკოვიჩი, რომელიც შედიოდა ხალხის დაბეგრეტის სპეციალურ ჯგუფში, გამოიძახა მისმა უფროსმა ანდრეი ბოჯანმა. „მოემზადე, პუნტულისა და სამუშაო გაგვიწიეს!“. ეს სამუშაო მორიგი „აქცია“ იყო, რომელიც პუნტულისს განეზრახა. დილადრიან ოთხი პოლიციელი, რომელთა შორის იყო ბასანკოვიჩი, ბივიდა მასწავლებლების ცოლქმარ გირშა და მარიან სალტუპერების სახლთან. ისინი მასწავლებლები იყვნენ. „მოემზადეთ!“. და მაშინვე მიხედნენ, რაც მოელოდათ. დედა მდუღარე ცრემლს ღვრიდა და გულში იკრავდა შვილებს: გოგონასა და პატარა ბიჭს. მაგრამ მასწავლებს განა მოელობდა რამე გულს.

საფლავი ჭამე ელოდა მიცვალებულებს. ბარკანმა ჯერ გაძარცვა, შემდეგ მამასა და დედას თითიდან წაადრო ნიშნობის ბეჭდები, თქვა, რომ ბეჭდებს პუნტულის გადასცემდა. ბავშვის ბურთი საჭირო არ იყო ჯალათებისათვის, ამიტომ ბურთი ბავშვებს თან მიაყოლეს საფლავში.

გასული წლის დეკემბერში მოახდინეს გვამების ექსგუმაცია და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. საფლავში აღმოჩნდა ოთხი ჩონჩხი, ბურთი, ქალის წყალი ბოტი, ბავშვის კალოში და რეზინის ფეხსაცმელი. ფოტოსურათები, რომლებზეც ლბეჭდილია სალტუპერების ოჯახის ნაშთები, გამოკიდულია სტენდებზე, რომლებიც სასახლის ფოიეში გახსნილ დიდ გამოფენაზეა წარმოდგენილი. დოკუმენტები მჭეერმეტყველურად ავსებენ ბასანკოვიჩის ნაამბობს ერთი „აქციის“ შესახებ, რომელშიც იგი მონაწილეობდა. რამდენ ასეთ „აქციაში“ მიუღია მონაწილეობა! განსაკუთრებ ხშირად ამბობს ხოლმე: „ვაპატიმრებდი“, „ვხოცავდი“, „ძალიან ვიღლებოდი“...

საზიზღარი ლაქია მამაცი მაშინ იყო, როცა უმწეო მშვიდობიან საბჭოთა მოქალაქეებს, სამხედრო ტყვეებს, პოლიტიკურ პატიმრებს ხვრეტდა. მაგრამ როგორც კი პიტლერელებმა თავიანთი ლაქიები ფრონტზე, მოქმედ არმიაში გაგზავნეს, ბასანკოვიჩი მაშინვე გამოიპარა. იმის შემდეგ იგი სხვა გვარით თავს აფარებდა ეორკუტას. ახლა კი სამშობლოს მოღალატეს მისივე ხალხი ასამართლებს.

ᲞᲣᲨᲔᲑᲘ ᲘᲜᲟᲘᲜᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲡᲓᲜᲔᲜ

ბათუმი. (საკ. კორ.). ელექტროტექნიკურ ქარხანაში კარგი ტრადიცია დამკვიდრდა — ქარხანა ყოველწლიურად თავის ხარჯზე რამდენიმე მუშამოსამსახურეს გზავნის უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლად.

საწარმოს უკვე შეემატა უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე რვა სპეციალისტი.

თენგიზ ჯოხაძე სასწავლებელში წასვლამდე ამწყობ ზეინკლად მუშაობდა. ამჟამად კი იგი ინჟინერ-კონსტრუქტორია და ექსპერიმენტალურ უბანს ხელმძღვანელობს. მისი მონაწილეობით ათვისებულია სამი ახალი მანქანა: ელექტროსაწევარი АТБ-300 და ორი სახის ელექტროურიკა. ბახო კუნქულია ოსტატ ნორმადარად მუშაობდა. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე კი საწარმოო უბნის უფროს ოსტატად დანიშნეს. მისი უბანი ერთ-ერთი მოწინავეა ქარხანაში.

ო. ბასილაძემ, გ. შოტიდმა, ფ. გაბელაიამ და სხვებმა წარმოებისაგან მოუწყვეტლად მიიღეს უმაღლესი განათლება. ახლა ისინი წამყვან უბნებზე მუშაობენ.

ამჟამად ქარხნის ხარჯზე თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 9 ახალგაზრდა სწავლობს, 36 მუშა კი დაუსწრებლად ეუფლება მეცნიერებას სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ

ფეხბურთში მსოფლიოს პირველობის კიდევ ერთი ფინალისტი გახდა ცნობილი. ეს უფლება ჩილის ნაკრებს ხვდა. შუალრჩევი ტურნირის მე-12 ჯგუფში ჩილემ და გვატემალამ ერთნაირი ქულები დააგროვეს და გამარჯვებულის გამოსავლენებლად დამატებითი მატჩი იქნა დანიშნული.

გადამწყვეტი შეხვედრა გუშინ გაიმართა ნეიტრალურ მინდორზე, პერუს დედაქალაქ ლიმაში. მსოფლიოს ჯასული ჩემპიონობა მესამე პრიზიორმა ბელ ბრძოლაში მინიმალური ანგარიშით — 2:1 დაამარცხა მეტოქე და ლონდონის საგზური მოიპოვა.

ამრიგად დღეისათვის ცნობილია ფინალური ტურნირის შვიდი მონაწილე. ესენი არიან: ბრაზილია, ინგლისი, არგენტინა, ურუგვაი, მექსიკა, უნგრეთი და ჩილი.



სამგზავრო თვითმფრინავი „ტუ-134“

მოსკოვი. „ტუ-134“, ჩანს, მოქმედების საშუალო რადიუსის მქონე ყველაზე პოპულარული სამგზავრო თვითმფრინავი გახდება ჩვენს ქვეყანაში.

ამ ლაინერის გამოცდა რომ დამთავრდება, ცხადია, იგი მაგისტრალურ ტრასებზე თავისი განთქმული წინამორბედის „ტუ-124“-ის ადგილს დაიჭერს. ახალი მანქანის უპირატესობა პირველ რიგში იმით აიხსნება, რომ ორი რეაქტიული ძრავი მას ბოლოში აქვს დადგმული. ასეთმა განლაგებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ფრთის აეროდინამიკა, განსაზღვრა თვითმფრინავის აფრენისა და დაჯდომის შესანიშნავი თვისებანი.

„ტუ-134“ განკუთვნილია 64-72 მგზავრისათვის. თვითმფრინავის კრეისერული სიჩქარეა საათში 920 კილომეტრი.

სამგზავრო سალონში თითქმის არ ისმის ძრავების ხმაური. ინტერიერების გაფორმებაში უახლესი დეკორაციული მასალებია გამოყენებული. ხელოვნური ჰავა და რბილი განათება კომფორტის ვითარებას ქმნის.

• • •

სურათებზე: (მარცხნივ) თვითმფრინავი „ტუ-134“ დაჯდომის წინ. (მარჯვნივ) სტიუარდესა ო. ვასკოვსკაია მგზავრებს ახალ ჟურნალებს სთავაზობს.

ფოტო ბ. ტრეპეტოვისა. (საკავშირო ფოტოქრონიკა).



„სამდინარო ავტობუსი“

„საცდელი“ — წყალგამტეხრცხ მაძრავიანი, ნახევრად გლისერის ტიპის თბომავალი. იგი განკუთვნილია მგზავრთა სწრაფად გადაყვანისათვის წყალმცირე მდინარეებზე. თბომავალი იტევს 88 მგზავრს, მისი წყალშიგია 40 სანტიმეტრი, ხოლო სიჩქარე — 45-მდე კილომეტრი საათში. სხვა თბომავლებისაგან იგი განსხვავდება დიდი მანევრულობითა და ეკონომიურობით, რადგან არ მოითხოვს ნავსადგურებს და შესაძლებელს ხდის მგზავრთა გადაყვანას მდინარეთა არასანაოსნო უბნებზე. თბომავლის პროექტი შეიმუშავეს რსფსრ სამდინარო ფლოტის სამინისტროს ცენტრალური ტექნიკურ-საკონსტრუქტორო ბიუროს თანამშრომლებმა.

ფოტო ს. როსინისა (ასს).

ᲞᲝᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲜᲝᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲗᲐ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

თბილისში, შ. რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში სამ დღეს გრძელდებოდა ამერიკასავშირის რესპუბლიკების თეატრისა და კინოს მხატვართა გაერთიანებული თათბირი, რომელშიც განიხილა თანამედროვე თეატრალური სპექტაკლებისა და კინოფილმების მხატვრული გაფორმების ძირითადი პრინციპები. აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის წარმომადგენლებთან ერთად თათბირის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ მხატვრები და ხელოვნებათმცოდნეები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს და განიხილეს შვიდი მოხსენება თანამედროვე სპექტაკლებისა და კინოფილმების მხატვრული გაფორმების ძირითად თეორიულ პრობლემებზე და პრაქტიკულ საკითხებზე ილაპარაკეს თავიანთ მოხსენებებში მ. პოფარასკაიამ, მ. კურილკომ (მოსკოვი), ი. სეიდოვამ, ა. რზაგულიევმა (ბაქო), ლ. ანდრონიკაშვილმა, ე. მაჭავარიანმა (თბილისი), ლ. ხალათიანმა (ერევანი).

მოხსენებების გამო გაბართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს. და საყურადღებო აზრები გამოთქვეს ბ. კნობლოკმა, ელ. რაკიტინამ, ლ. ზაიცევმა (მოსკოვი), ა. პოლომარენკომ (უკრაინა), ვ. რიფტინმა (უზბეკეთი), ი. ახუნდოვმა (ბაქო), ე. ახვლედიანმა, დ. თავაძემ, ი. ურუშაძემ, კ. კუკულაძემ, მ. თათბირის მონაწილეებმა და სტუმრები დაეწვრნენ დედაქალაქის თეატრების (შ. რუსთაველის სახელობის, კ. მარჯანიშვილის სახელობის და ა. გრიბოედოვის სახელობის) სპექტაკლებს — „სიბრძნე სიცრუისა“, „კახაბერის ხმალი“ და „104 ფურცელი სიყვარულზე“, იყვნენ კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, აგრეთვე დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობები.

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ა. კუშნირი — ნ. გაფრინდაშვილი,
გრიუნფელდის დაცვა.

1. d4 ᵭf6 2. c4 g6 3. ᵭc3 d5 4. ᵭf4 ᵭg7 5. ᵭf3 0—0 6. e3 c6 7. ⚀b3 ⚀a5 8. h3 ᵭbd7 9. ⚀c1 dc 10. ᵭ:c4 ᵭb6 11. ᵭc7 ᵭe8 12. ᵭe5 ᵭ:c4 13. ⚀:c4 ᵭe6 14. ⚀a4 ⚀:a4 15. ᵭ:a4 ᵭ:a2 16. ⚀a1 ᵭ:e5 17. ᵭ:e5 ᵭe6 18. ᵭb6 ⚀d8 19. ᵭ:a7 ᵭd6 20. 0—0 ⚀b8 21. ⚀fa1 ᵭc8 22. ᵭ:c8 ⚀f:c8 23. ᵭd3 ᵭgf8 24. ᵭc5 b6 25. ᵭ:e6 fe 26. ⚀d7 ⚀a8 27. ⚀aa7 ⚀:a7 28. ⚀:a7 c5 29. ⚀b7 cd 30. ed ⚀c1+ 31. ᵭgh2 ⚀c2 32. ⚀:b6 ⚀:f2 ყოიმი.

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

☐ ჩილის დედაქალაქში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ სარ კაგბირის, კუბის, ჩილის, არგენტინის, კოლუმბიისა და პერუს მოჭადრაკეები. ამ ტურნირში მიწვეული არიან კაპაბლანკას ამას წინათ დამთავრებული მემორიალის მონაწილენი — ვ. სმისლოვი, ე. გელერი და კუბელი ე. ხიმენესი.

☐ ცნობილმა ჩეხოსლოვაკიელმა ბადრის მტკურცხელმა ლ. დანეკმა ახალი მსოფლიოს რეკორდი დამყარა (65,22 სანტიმეტრი).

☐ ᲑᲝᲚᲝᲜᲘᲐᲨᲘᲜᲘᲡ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე რვა ტურის შემდეგ ლიდერობენ საბჭოთა გროსმაისტერი ა. სუეტინი და იუგოსლავიელი ს. გლიგორიჩი. მათ 6-6 ქულა აქვთ. 5,5-5,5 ქულა აქვთ მ. ტალინოვსა და ა. დიუშატინს. (ავსტრია).

☐ ᲑᲣᲨᲘᲜᲘᲡ თბილისში „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მეორე ჯგუფის იმ გუნდებისათვის. რომლებიც 17-32 ადგილებისათვის იბრძვიან. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „ლოკომოტივი“ და ფრუნზეს „ალგა“.

მატჩი მოიგეს სტუმრებმა (3-2).

☐ ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲗᲣᲚᲘ მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის რსფსრ მეორე ზონაში. აი ზოგიერთი შედეგი: „დინამო“ (ბაქო) — „დინამო“ (სოხუმი) — 2:0, „დინამო“ (მახაჩკალა) — „ კოლხიდა“ (ფოთი) — 1:3, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ინგური“ (ზუგდიდი) — 1:0, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „დინამო“ (ბათუმი) — 1:0.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

Ს. ᲠᲝᲣᲖᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ

აზიის კონტინენტი მსოფლიოს პირველობაზე ფეხბურთში შეიძლება უწარმომადგენლოდ დარჩეს, ხოლო ფინალური ტურნირი კი მე-16 მონაწილის გარეშე, რადგან ჩრდილოეთ კორეასა და ავსტრალიას შორის არ არის დიალომატიური ურთიერთობა. ფიფა-ს პრეზიდენტის ს. როუზის მოწოდებას, ერთი მატჩი ჩატარებინათ მეტოქეებს ნეიტრალურ მინდორზე ჯერ შედეგი არ მოუცია. ს. როუზმა განაცხადა, რომ ფიფა იძულებული იქნება კიდევ ერთი შესარჩევი ტურნირი ჩაატაროს ჯგუფებში მეორე ადგილებზე გამოსულ გუნდებს შორის. ასეთებად კი იგი მიიჩნევს — გდრ-ს, იუგოსლავიას, შვეიცარიასა და ჩეხოსლოვაკიას.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲥᲣᲠᲐᲠᲔ

ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲛᲐ გიორგი სმირნოვმა და მისმა თანამშრომლებმა მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკასთან თანამგზავრობით, რომელსაც ხელმძღვანელობს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ისაკ ეიროვი, შექმნეს ნარკოზის მისაცემი დანადგარი, რომელიც ელექტროენცეფალოგრაფიულ მრუდის — ტვინის ბიოდენების ჩაწერის თანახმად მოქმედებს. იგი აღრმავებს ნარკოზს, თუ ავადმყოფი იღვიძებს, ან ამცირებს მის მიწოდებას.

ახალი ამბების საკავშირო კორესპონდენტმა სთხოვა პროფესორ ეიროვს ეამბნა ამ სიახლის შესახებ.

— ტკივილთან ბრძოლა, — ამბობს მეცნიერი, — ძალიან რთული ამოცანაა. ტკივილის ფიზიოლოგია, მისი მეკანიზმი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ შესწავლილი. გასული საუკუნის შუა ხანებში ავადმყოფის დასაძინებლად პრაქტიკად გამოიყენეს ეთერის ორთქლი. გაჩნდა ტერმინი ნარკოზი, რაც ნაშნავს გაშეშებას, გახევებას. ამ მდგომარეობას „მცირე სიკვდილი“ უწოდეს. მაგრამ ნარკოზს საჭირო ეფექტი რომ მოეხდინა, ორგანიზმისათვის დიდი პორციებით უნდა მიეცათ ნარკოტიკული ნივთიერებანი — ქლოროფორმი, ეთერი, ციკლოპროპანი. ამას კი აუცილებლად შედეგი მოჰყვება ხოლმე. ამიტომ მედიკები მუდამ ცდილობენ შეამცირონ პრეპარატების ტოქსიკურობა.

ამ მიზნით ციკლოპროპანს უმატებენ კურარეს, სწორედ იმ კურარეს, რომელსაც სამხრეთ ამერიკის ინდიელები ისრებს წაუსვამენ ხოლმე ეს ნივთიერება მთლიანად ადუნებს ნებისმიერ მუსკულატურას, აჩერებს სასუნთქავ კუნთებს — ქრება სუნთქვა, და ერთიორი წუთის შემდეგ ამას სიკვდილი მოჰყვება.

თუ კურარეს გარკვეული დოზით გამოვიყენებთ, იგი მოქმედებს როგორც ნარკოტიკული ნივთიერება, მთლიანად უდუნებს ავადმყოფს კუნთებს, და საჭირო აღარ არის ორგანიზმის გაჭერებელი ღრმა ნარკოზი. მის ნაცვლად მოქმედებს სრულიად უსაშიშრო ზედაპირული ნარკოზი. საჭირო ეანგბადი კი ორგანიზმს ეძლევა ხელოვნური სუნთქვის აპარატებით.

აქ ექიმს ეხმარება ელექტრონიკაც. თუ სუნთქვა არ არის და მკვეთრად დაწეულია სისხლის წნევა, როგორ უნდა შეფასდეს ავადმყოფის მდგომარეობა? კურარე ან სინთეზური კურარული ნივთიერებანი ხომ სპობენ რეფლექსებს, რომლებითაც ქირურგი განსაზღვრავს ნარკოზის სიღრმეს.

ელექტროენცეფალოგრამებზე გულის ფუნქციონერების დაცემა უფრო ადრე აღინიშნება, ვიდრე ამის გაკეთება ეკიმს შეუძლია. ელექტროენცეფალოგრამისათვის მიუმართავად მეტად ძნელია ნარკოზის სიღრმის რეგულირება. ხოლო თუ ავადმყოფი ამავე დროს მძიმე მდგომარეობაშია, დოზის ოდნავ მომატებას შეიძლება სიკვდილი მოჰყვეს.

გულის, მსხვილი სისხლძარღვების ჩაწერას უკვე წარმატებით იყენებენ ექსპერიმენტების დროს და კლინიკაში. იგი მალე ფართო ქირურგიულ პრაქტიკაში გავრცელდება.

ე. ბორისოვა.



ᲣᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

თბილისში, შ. რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში სამ დღეს გრძელდებოდა ამერიკასავშირის რესპუბლიკების თეატრისა და კინოს მხატვართა გაერთიანებული თათბირი, რომელშიც განიხილა თანამედროვე თეატრალური სპექტაკლებისა და კინოფილმების მხატვრული გაფორმების ძირითადი პრინციპები. აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის წარმომადგენლებთან ერთად თათბირის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ მხატვრები და

ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲨᲔᲯᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

რიგა. 13 ოქტომბერი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). „დიახ, ჩვენ უკვე „გავუსწარით“ ე. ბიკოვას — სუმრობით თქვა ა. კუშნირის მწვრთნელმა ბ. პერსიცმა, როდესაც დღევანდელი მეცხრე პარტია ყაბმით დამთავრდა. მას მხედველობაში ჰქონდა ის გარემოება, რომ ყოფილმა მსოფლიოს ჩემპიონმა ელისაბედ ბიკოვამ ნონასთან მატ